ისტორიული არქიტექტურული კვლევა

ქურდიანის ქ. №9



თბილისი
თებერვალი, 2018

ქურდიანის, ყოფ. ალექსეევის ქუჩა, საარბრიუკენის (ყოფ. ვორონცოვის მოედნის) ირგვლივ შემონახული ისტორიული განაშენიანების ნაწილია. ქუჩაზე ძირითადად XIX ს-ის II ნახევრის წვრილი ბურჟუაზიის კერძო საცხოვრებელი ორ-სამსართულიანი სახლები მდებარეობს, ხოლო თავად მოედნისა და აღმაშენებლის პროსპექტის მხარეს, უკვე შედარებით მაღალი და წარმოსადეგი შენობებია განთავსებული.



დ. აღმაშენებლის, ყოფილი პლეხანოვის, ყოფილი მიხეილის პროსპექტი XIX საუკუნის განმავლობაში განაშენიანდა და ქ. თბილისის ერთ-ერთ ძირითად არტერიას წარმოადგენდა.



XVIIIს. ტერიტორია, რომელზედაც დღეს პროსპექტი არსებობს –ეკალ-ბარდებით იყო დაფარული. 1800წ. ქალაქის გეგმაზე განაშენიანებული იყო მხოლოდ ვორონცოვის მოედნის ნაწილი, რომელსაც სოფ. კუკია უერთდებოდა. (სოფ. კუკია დაახლოებით იქ თავდებოდა სადაც ახლა მარჯანიშვილის ქუჩა გადის). ამ მიწების აქტიური ათვისება,

მხოლოდ 1818 წლიდან გერმანელ კოლონისტთა გადმოსახლების დროიდან იწყება. სწორედ გერმანელებმა კეთილ-მოაწყვეს ეს ტერიტორიები, გამოიყვანეს სარწყავი არხი და გააშენეს ბაღები და ბოსტნები. გერმანელები გახდნენ თბილისის ბაზრებში ხილისა და ბოსტნეულის მთავარი მომწოდებლები. განსაკუთრებით აქტიურად გაშენდა მიხეილის პროსპექტი ვერის ხიდის (ახ. გ. ტაბიძის ხიდის) აგების შემდგომ. 1860-იანი წლებისთვის ეს ტერიტორია ჯერ კიდევ აქტიურად არის გამწვანებული გერმანელთა ბაღებით, რომელთა ფრაგმენტები შემოგვრჩა ყოფ. ფილარმონიის (გოფილექტის) ვარდების (გორკის) არტოს და სხვა ბაღების სახით.

ვორონცოვის მოედანზე XIX საუკუნის II ნახევარში ვორონცოვის ძეგლი იდგა.



არქიტექტურული განაშენიანებიდან მიხეილის პროსპექტზე და მიმდებარედ აღსანიშნავია არქ. ალ.ზალცმანის კათოლიკური ეკლესია, სასტუმრო “ვეტცელი” – არქ. ბილფელდი, კინოთეატრი “აპოლო”, მარჯანიშვილის სახ. თეატრი ყოფილი “სახალხო სახლი” რეალური სასწავლებელი - უშ. ჩხეიძის ქუჩაზე და სხვა ძალზედ მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლები, რომელთა უმეტესობა თბილისში მოღვაწე სახელგანთქმული არქიტექტორების ნახელავია.

საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობებთან ერთად მიხეილის პროსპექტის სამხრეთი მხარე XIXს. შუა წლებიდან სამხედრო დანიშნულების ობიექტებს ეკავა: არტილერისტების, დივიზიონსა და მესანგრეთა საჯინიბოებს – ვაგზლის მოედანთან, იუნკერთა და კადეტთა სასწავლებლებს ყოფილი დიდიმთავრის (დ. უზნაძის) და კერძოდ მიხეილის პროსპექტზე.

ქურდიანის ქ. №9 იმ ისტორიულ მონაკვეთზე მდებარეობს, რომელზედაც XIX საუკუნის მიწურულამდე ეკლესიაც არსებობდა. დღეს მისი კვალი აღარ ჩანს, თუმცა მეზობელ ქუჩას, რომელიც დღეს ტყვიავის სახელს ატარებს და დ. აღმაშენებლის პროსპექტს ამ ნაწილში უერთდება, საეკლესიო ქუჩა ერქვა.





ქურდიანის ქ. №9 და №7 ნაგებობები, კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი, როგორც დ. აღმაშენებლის პროსპექტის მიმდებარე განაშენიანეიბს ღირებული არქიტექტურული ნიმუშები. ორივე ნაგებობა XIX ს-ის II ნახევარს განეკუთვნება და „თბილისური ამპირის“ ტიპიურ ნიმუშებს წარმოადგენს, რომლებსაც უხვად დეკორირებული ნალესი ორნამენტებით შემკული ფასადები, ხოლო ეზოს მხარეს ხის გალერეა-აივნებით გაფორმებული ნაწილი ახასიათებს.





ქურდიანის ქ. №9, ორსართულიანი სახლი, მაღალი ცოკოლის სართულით, ქურდიანის ქუჩისა და ჩიხის კუთხეს საზღვრავს. ქუჩის მხრიდან სახლის ფასადი ნალეს საპირეებში ჩასმული მართკუთხა ფორმის ფანჯრებით არის დანაწევრებული. გამოკვეთილია სართულშუა პროფილირებული სარტყელი და ორ სართულზე შეკიდული ლითონის ჭედური აივნები. ამავე მხრიდან სახლს ძველი სადარბაზო კარი და ლითონის წინფრა აქვს შერჩენილი.

შენობის პარაპეტის ნაწილი კიდეებზე არის გამოკვეთილი სწორკუთხა კედლების სახით. ცენტრალური არე ცარიელია, სავარაუდოდ ამ ნაწილში სახლს ლითონის ცხაური უნდა ჰქონოდა.



ქურდიანის ჩიხისკენ მიმართული გვერდითი კედელი შეულესავი აგურის წყობით არის ნაშენი. ამ მხარეს სახლის ფასადი გლუვია, მხოლოდ სართულშუა სარტყელია გამოკვეთილი. ზედა სართულზე ერთი ფანჯარაა გაჭრილი.





ჩიხის მხრიდან, დაბალი ღობით მოსაზღვრული ეზოს ნაწილში ხის სვეტებიანი აივანი აღიქმება. აივნის დეკორი ტიპიურია XIX ს-ის II ნახევრის თბილისური სახლებისათვის და ჭვირულად დამუშავებული სვეტისთავებისა და მოხარატებული მოაჯირისგან არის შედგენილი.





ქურდიანის ქ. №9 განახლებული დ. აღმაშენებლის გამზირის მიმდებარე კვარტლის შემადგენელია და კარგად აღიქმება რეაბილიტირებული საფეხმავლო ნაწილიდან. შესაბამისად, მისი მოწესრიგება და რეკონსტრუირება გასააზრებელია მიკროუბნის მთლიან კონტექსტში.

დასკვნა-რეკომენდაცია

ქურდიანის ქ. №9 რეკონსტრუქცია, კერძოდ, მასზე სხვენის ამაღლება საცხოვრებელი ფართის გაზრდის მიზნით, მისაღებად მიმაჩნია იმ პირობით, თუ გათვალისწინებული იქნება შემდეგი რეკომენდაციები:

- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე, ქურდიანის №9-ზე მანსარდული სართულის მოწყობა შესაძლებელია ქუჩის აღმართის რელიეფის გათვალისწინებით, რადგანაც მის წინ მდებარე №7-ის სიმაღლე იძლევა საშუალებას განაშენიანების საფეხურებრივი გაზრდისათვის, რაც ძველ უბნებში ერთ-ერთი სასურველი რეკომენდაციაა.
- დაშენება უნდა მოხდეს ძირითადი სართულიდან შეწევით, იმისათვის, რომ გამოიკვეთოს პარაპეტის ხაზი.
- პარაპეტის გამთლიანება სასურველია ლითონის შესაბამისი ცხაურით, რითაც გაჩნდება შესაძლებლობა დაშენებული მოცულობის წინ ტერასის შექმნისათვის.
- რეკონსტრუქციის ფარგლებში სასურველია ფასადის დაზიანებული, ნალესი ელემენტების შევსება, აგრეთვე ფასადების მოწესრიგება – გალესვა და შეღებვა შესაბამისი ფერით.

- შენობის გადახურვა უნდა მოხდეს დაჟანგული ფერის თუნუქისა ან კრამიტის (ან მისი ანალოგის) ფაქტურით, რადგანაც მნიშვნელოვანია, რომ ახალი სახურავი ორგანულად შეერწყას ირგვლივ არსებული ძველი და რესტავრირებული ნაწილების გადახურვას.
- პროექტისათვის მნიშვნელოვანია, ახალი დაშენება თავისი მასშტაბითა და კონფიგურაციით ისე ჩაეწეროს მიკროუბნის განაშენიანებაში, რომ არ დაირღვეს ზედხედი დ. აღამშენებლის უბანზე.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი